ელექტროენერგიის ნასყიდობის ხელშეკრულება N73

ქ. თელავი 10 მაისი 2011 წელი

ერთის მხრივ, სს „კახეთის ენერგოდისტრიბუცია“, მდებარე: ქალაქი თელავი, ალაზნის გამზირი №93, წარმოდგენილი მისი დირექტორის ზურაბ დიღმელაშვილის სახით, შემდგომში მოხსენიებული როგორც „გამყიდველი“ და **მეორეს მხრივ,** კალაურის საჯარო სკოლა, მდებარე: გურჯაანის რაიონი, სოფელი კალაური, წარმოდგენილი მისი დირექტორის ეთერი ქევხიშვილის სახით შემდგომში მოხსენიებული როგორც „მყიდველი (მომხმარებელი)“, ორივე ერთად **„მხარეებად“** წოდებულნი ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას საქართველოს კანონმდებლობის, საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის მიერ გამოცემული აქტების საფუძველზე და ვთანხმდებით შემდეგზე:

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი

ხელშეკრულება დადებულია ელექტროენერგიის ყიდვა-გაყიდვაზე და განსაზღვრავს გამყიდველის მიერ მყიდველისათვის (მომხმარებლისათვის) მის მიერ განცხადებაში მითითებულ ადგილზე (მისამართი) ელექტროენერგიის მიწოდებას, კერძოდ: გურჯაანის რაიონი, სოფელი კალაური (კალაურის საჯარო სკოლა).

მუხლი 2. მხარეთა ზოგადი ვალდებულებები

2.1. ხელშეკრულების მხარეები ვალდებულებას კისრულობენ, ურთიერთობა აწარმოონ საქართველოში მოქმედი კანონმდებლობითა და „ელექტროენერგიის (სიმძლავრის) მიწოდებისა და მოხმარების წესებით“ განსაზღვრული პირობებით.

2.2. მყიდველი (მომხმარებელი) ვალდებულია, მოხმარებულ ელექტროენერგიაზე ანგარიშსწორება აწარმოოს საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის მიერ დამტკიცებული ტარიფით.

2.3. მყიდველი (მომხმარებელი) ვალდებულია ყოველთვიურად დროულად გადაიხადოს მოხმარებული ელექტროენერგიის საფასური, მიმწოდებლისაგან მიღებული ქვითრის შესაბამისად. არ დაუშვას მოხმარებული ელექტროენერგიის დებიტორული დავალიანების წარმოქმნა - დაგროვება. კანონით გათვალისწინებული საფუძვლების არსებობისას შეიტანოს ანგარიშზე დარიცხული დეპოზიტი.

2.4. მყიდველი (მომხმარებელი) ვალდებულია შეისყიდოს და მოიხმაროს ელექტროენერგია არასაყოფაცხოვრებო მიზნებისათვის.

2.5. მყიდველი (მომხმარებელი) ვალდებულია დაუშვას მიმწოდებლის წარმომადგენლები მოხმარებული სიმძლავრის, ძაბვის გასაზომად, ელექტროენერგიის სხვა პარამეტრების კონტროლისათვის,